

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების
შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შემოსული განცხადებების
სტატისტიკა
2014 წლის II კვარტალის მონაცემები**

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 2014 წლის II კვარტალში სულ შემოვიდა 27 განცხადება, აქედან:

- 20 შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, დაკმაყოფილდა სრულად.

- 2 შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

- 4 განცხადებაზე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

1 შემთხვევაში არ არსებობდა სამართლებრივი აქტი, რომელსაც განმცხადებელი ითხოვდა.

1 შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვდა კონკრეტული სფეროს მარეგულირებელ აქტს და ვერ უთითებდა ნორმატიული აქტის რომელიმე კონკრეტული რეკვიზიტს (მიმღები უწყება, სათაური, მიღების თარიღი, ნომერი და ა.შ.)

1 შემთხვევაში განმცხადებლისთვის მოქმედი სსიპ-ების ჩამონათვალის ერთიანი რეესტრის გადაცემაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ამ კატეგორიის ერთიანი რეესტრის არარსებობა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის № 389 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ახორციელებს ნორმატიული აქტების გამოქვეყნებას, მათ რეგისტრაციასა და საკონტროლო მდგომარეობაში მოყვანას (სისტემატიზაცია), რაც არ გულისხმობს ნორმატიული აქტების შინაარსის გაცნობას და შესაბამისად, კონკრეტული მარეგულირებელი საკითხის თაობაზე მონაცემთა ბაზის (რეესტრი) წარმოებას.

1 შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვდა სისტემატიზებული სახით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ასლის გადაცემას. კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი რეგულაციები განემარტა განმცხადებელს (სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე სისტემატიზებული სახით განთავსებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დათვალიერება/ჩამოტვირთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 დეკემბრის №225 ბრძანების შესაბამისად).

- 1 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

- საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას და შესაბამისად პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.